საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1208 2021 წლის 13 ივლისი ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მაისის №755 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მაისის №755 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ერთიანი სამთავრობო ცხელი ხაზის – „144“-ის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

გამოუყოს 300 000 (სამასი ათასი) ლარი, შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ისათვის“ გადასაცემად.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**